განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა

საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტი

25.10.2021

10.12.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა Mass Communication/Journalism
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი Bachelor of Masscommunication
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა 0321
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 28/09/2012, გადაწყვეტილება N541

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე - სსიპ-ივანე ჯავაიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია კუპრაშვილი - სსიპ-ივანე ჯავაიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია სვანიძე - სსიპ-ივანე ჯავაიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი - შპს - კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ***მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა*** მოქმედებს 2012 წლის 28 სექტემბერიდან (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწვეტილება N541). 2013 წელს პროგრამამ პირველადი მოდიფიცირება განიცადა, კერძოდ, ცალკეულ სასწავლო კურსებს შეეცვალა სახელწოდებები, ან ჩანაცვლდა სხვა სასწავლო კურსებით, კონკრეტული სასწავლო კურსების კრედიტმოცულობამ განიცადა ცვლილება რომლის დეტალური აღწერა მოხდა პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში (გვ. 8). ცვლილებას დაექვემდება საერთო ჯამში 12 სასწავლო კურსი.

პროგრამის სწავლა-სწავლებისა და სწავლის შედეგების მოდიფიცირება მოხდა 2014 წელს. პროგრამაში საუნივერსიტეტოს ადმინისტრირების ცვლილებების საფუძველზე 2017 წელს აისაა ასევე ადმინისტრაციული ცვლილებები ცალკეული დეტალები (მაგ., ფაკულტეტის დასახელება, საუნივერსიტეტო კოდი, პროგრამის სახელოწოდება).

გარკვეული მოდიფიცირება განიცადა ასევე სასწავლო კურსებმა, მათ შორის, ცალკეულ სასწავლო კურსებში შემცირდა საკონტაქტო საათები და გაიზარდა დამოუკიდებელი სამუშაოსთვის განკუთვნილი საათები:

მოდიფიცირებამდე	მოდიფიცირების შემდგომ
6 კრედიტიანი საგნის საკონტაქტო საათები იყო: 2/30სთ. ლექცია, 2/30სთ. სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობა 102სთ.;	6 კრედიტიანი საგნის საკონტაქტო საათებია: 2/30 სთ. ლექცია, 2/30სთ. სემინარი, 2 შუალედური გამოცდა, 1 დასკვნითი გამოცდა, დამოუკიდებელი მუშაობა 99სთ.;
5კრედიტიანი საგნის საკონტაქტო საათები იყო: 2/30სთ. ლექცია, 2/30სთ. სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობა 75სთ.;	5კრედიტიანი საგნის საკონტაქტო საათებია: 1/30სთ. ლექცია, 2/30სთ. სემინარი, 2 შუალედური გამოცდა, 1 დასკვნითი გამოცდა, დამოუკიდებელი მუშაობა 87სთ.;
4 კრედიტიანი საგნის საკონტაქტო საათები იყო: 1/15სთ. ლექცია, 2/30სთ. სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობა 63სთ.	4 კრედიტიანი საგნის საკონტაქტო საათებია: 1/15სთ. ლექცია, 1/15სთ. სემინარი, 2 შუალედური გამოცდა, 1 დასკვნითი გამოცდა, დამოუკიდებელი მუშაობა 75სთ.

2018 წლიდან ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული სიახლეები გახდა საფუძველი საგანმანათლებლო პროგრამის ფორმის ცვლილებისათვის (აკადემიური საბჭოს დადგენილება: 14.02.2018, N01-05-04/01).

საგანმანათლებლო პროგრამას შეეცვალა ხელმძღვანელი, რომელიც აღმოჩნდა წინაპირობა პროგრამის კონცეპტუალური ხაზის ცვლილებისათვის, სახელდობრ, სპეციალობის 2 მოდული და თავისუფალი კომპონენტების რვა მოდული. მოდიფიცირებული პროგრამიდან ამოღებულია თავისუფალი კომპონენტების მოდულები, რადგან ეს მოდულები პროგრამაში იყო მხოლოდ იმიტომ, რომ 2012 წლამდე ჩარიცხული, მოქმედი და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის მომხდარიყო უკვე გავლილი საგნების აღიარება ან დარჩენილი საგნების დამატება, თუმცა სტუდენტებს პროგრამის აკრედიტაციის დღიდან დღემდე ამ მოდულებიდან, არცერთი საგანი არ აურჩევით. მოიხსნა სპეციალობის მოდულებიც, პროგრამის ელემენტები კი (240 ECTS) შემდეგნაირად ნაწილდება: სავალდებულო სასწავლო კურსები 204 ECTS; პრაქტიკა 10 ECTS; საბაკალავრო ნაშრომი 5 ECTS; თავისუფალი კომპონენტები –21 ECTS;

ახალი სასწავლო კურსების შეტანამ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში გამოიწვია სასწავლო კურსების სემესტრული განაწილების ცვლილება და გადალაგება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების თანახმად, სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დაზუსტდა სწავლის შედეგები და პროგრამის მიზანი, რამაც ასევე განაპირობა სასწავლო კურსების რედაქტირება.

საბაალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნია პროგრამის მიზანია მასობრივი კომუნიკაციის არსის, ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ღირებულებების მცოდნე ფართო პროფილის (ბეჭდური, რადიო, ტელე, ონლაინ, ინტერნეტ) სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს თანამედროვეობის აქტუალური ფაქტების, მოვლენებისა და პრობლემების ჟურნალისტურ ფაქტად გადაქცევას საერთაშორისო და საქართველოს ეთიკური, სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით შეფასებას და კომენტირებას. ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით

ბეჭდური, სამაუწყებლო და ახალი მედიისათვის მედიაპროდუქტის დაგეგმვის, მომზადების, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციის უნარ-ჩვევების გამომუშავება.
პროგრამის სწავლების ენა ქართულია, ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს სასწავლო კურსებს, პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს სპეციალობაში. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა სულ 26 (10 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი და 7 მოწვეული აკადემიური პერსონალი), 10 - აფილირებული პროფესორი, 9 - ასოცირებული პროფესორი; ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 189. რეაკრედიტაციის პროცესში პროგრამას ჰყავს 205 აქტიური სტუდენტები. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ბოლო 5 წლის მანძილზე 33 კურსდამთავრებული, ხოლო მათ შორის კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებული - 15. პროგრამის კურსდამთავრებულთაგან უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლას განაგრძობს 29 პირი. რაც შეეხება მობილობის პროცესს, ბოლო წლებში შემცირებულია როგორც შიდა, ისე გარე მობილობა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი ჩაინიშნა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 ოქტომბრის ბრძანების (N1115802) თანახმად. ვიზიტი წარიმართ ჰიბრიდულად 25 ოქტომბერს, წინასწარ განსაზღვრულ ვადებში 01.11.2021 (ონლაინ ინტერვიუები; მატერიალური რესურსების ადგილზე გაცნობა).
ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე ჩაატარა წინასწარ მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა აზრი გამოთქვეს წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვან ასპექტებზე, განისაზღვრა ძირითადი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუების მიმდინარეობისას.
აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა მუშაობდა დღის წესრიგით გათვალისწინებული სესიების მიხედვით. ადმინისტრაცულმა და აკადემიურმა პერსონალმა უზრუნველყო კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული წარდგენა. შევედრები წარიმართა კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში. ინტერვიუები ჩატარდა ღიად და გულახდილად, რამაც ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა მისცა ზედმიწევნით და ამომწურავად შეეჯერებინათ დოკუმენტური მასალები რეალურ ვითარებასთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალების შესწავლის, თემატურ ინტერვიუების შეჯერების, ასევე აკრედიტაციის შეფასების დროს დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს ჩამოუყალიბდა კონკრეტული შეხედულებები, მოსაზრებები და კონკრეტული რჩევები სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის *მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა* აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფი არსებული მონაცემებიდან გამომდინარე ადგენს, რომ პროგრამა ნაწილობრივ შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტთან:

№	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით გამოთქმული რეკომენდაცები და რჩევები წარმოდგენილი დარგობრივი ექსპერტების მიერ, ამავე ექსპერტების მოსაზრებით ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასა და ეფექტურ განხორციელებას.

- **რეკომენდაციები**

კომპონენტი 1.1

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია ***მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი*** უნდა შეიცვალოს ,,ჟურნალისტიკის ბაკალავრი", შესაბამისად დაზუსტდეს პროგრამის სახელწოდება;
- სილაბუსებით გათვალისიწნებული მიზნები გადაიხედოს და დაკორექტირდეს მიზნებს შორის წინააღმდეგობა;

კომპონენტი 1.2

- რეკომენდებულია თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, მაუწყებლობის ყველა პლატფორმაზე (პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში, ინტერნეტში) მუშაობის გაძლიერება/გავრცობა.

კომპონენტი 2.1

- რეკომენდებულია, რომ პროგრამაზე უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ჩარიცხული სტუდენტებისთვის დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ქართული ენის ცოდნის დონე.

კომპონენტი 2.2

- პროგრამის სტრუქტურაში შეთავაზებული იყოს არჩევითი დარგობრივი დისციპლინები;

კომპონენტი 2.3

- პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსებში გაძლიერდეს მასობრივი კომუნიკაციის თემატიკა.

კომპონენტი 2.4

- მიზანმიმართულად შეირჩეს პრაქტიკის ობიექტები მათი აქტუალობის მიხედვით და განისაზღვროს მათ მიერ პრაქტიკაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, პრაქტიკის ხანგრძლივობა და კონკრეტული მიზნები.

კომპონენტი 3.1

- რეკომენდებულია დაწესებულებამ გააუმჯობესოს და დანერგოს სტუდენტთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმი - დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის, კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მიზნით დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც დაწესებულების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ სტუდენტების დროული და ეფექტური ინფორმირება.

კომპონენტი 4.1

- პროგრამის განმახორციელებლები ძირითადად არ არიან დარგის სპეციალისტები, არც განათლებით და არც სამუშაო გამოცდილებით. ისეთი საგნები, როგორებიცაა: შესავალი მასობრივ კომუნიკაციაში, ახალი ამბების ჟურნალისტიკა, ტელევიზია და მასმედიის სისტემები და ა.შ. მნიშვნელოვანია ზემოხსენებული სასწავლო კურსები ისწავლებოდეს დარგის სპეციალისტებისა და პრაქტიკულ ჟურნალისტიკაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის მიერ.
- სწავლების პროცესში მოქმედი ჟურნალისტებისა და მედიამენეჯერების ჩართვა, ხელს შეუწყობს მომავალი ჟურნალისტებისთვის თანამედროვე მედიაბაზრის მოთხოვნების შესაბამისი აუცილებელი პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების გადაცემას.

კომპონენტი 5.1

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა იხელმძღვანელოს კურიკულუმების შედგენის იმ რეგულაციებით, რაც კანონმდებლობითაა განსაზღვრული;
- აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.

კომპონენტი 5.3

- მნიშვნელოვანია უსდ-ს შემუშავებული ჰქონდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია, პროცედურები და გაწერილი პროცესები, რადგან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თავისი უნიკალური, ტრადიციული დარგებითა და ყველა უმაღლეს

სასწავლებლისაგან განსხვავებული სპეციფიკით, რაც მას გამოარჩევს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ტექნიკის დარგში ექსპერტებით მომარაგებაში, რათა თავდაპირველად შეინარჩუნოს და შემდგომ გააძლიეროს საკუთარი პოზიცია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კომპონენტი 1.1

- სასურველია პროგრამის გადამუშვება მოხდეს ფაკულტეტის სპეციფიკის შესაბამისად და გაძლიერდეს ისეთი საკითხების სწავლება, როგორიცაა ეკონომიკა და მედიის ტექნოლოგიები.

კომპონენტი 2.1

- სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უფრო დეტალურად იყოს გაწერილი პროგრამაში, მობილობის წესების გათვალისწინებით.

კომპონენტი 2.4

- სასურველია, პრაქტიკულიკომპონენტის მოცულობის გაზდა;
- რეალური და მაღალკვალიფიციური დამსაქმებლების მოძიება და დამსაქმებელთა წრის გაფართოება.

კომპონენტი 2.6

- სასურველია სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს დაშვებული შეცდომების განხილვა-ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს, გაიაზროს დაშვებული შეცდომები, შეძლოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა და შედეგების გაუმჯობესება;
- სასურველია, დაწესებულებამ დახვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).

კომპონენტი 3.1

- სასურველია, დაწესებულების მიერ მოხდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.

კომპონენტი 4.2

- სასურველია უცხოელი სპეციალისტების მოწვევა, არა მარტო მოკლევადიანი პროექტების გახორციელებისთვის - მასტერ-კლასებისა და ტრენინგების ჩატარების მიზნით, არამედ გრძელვადიანი თანამშრომლობისთვისაც, რაც აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებს საერთაშორისო მედიასივრცესთან ინტეგრირებაში დაეხმარება და ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას და საერთაშორისო სივრცესთან მის ადაპტირებას.
- სასურველია ადმინისტრაციამ ხელი შეუწყოს აკადემიურ პერსონალს ნაშრომები იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში გამოაქვეყნონ;
- სასურველია პროგრამის განმახორციელებლებმა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში. ასევე, უფრო აქტიურად ითანამშრომლონ საერთაშორისო მედია ორგანიზაციებთან ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკულად გაზიარების მიზნით.

კომპონენტი 4.3

- სასურველია მოხდეს უნივერსიტეტის ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცის მოწესრიგება და მომზადება იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ კომფორტულ გარემოში გაიარონ პრაქტიკული მეცადინეობები და იმუშაონ.
- სასურველია, ტელევიზიამ ფუნქციონირება განაახლოს ჰიბრიდულ რეჟიმში, რეგულაციების დაცვით. ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცე იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა რეგულაციის დაცვით მოხდეს სტუდენტებისთვის პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება.
- სასურველია განახლდეს ფაკულტეტის ელექტრონული საიტი, სადაც მოხდება სტუდენტების მიერ პრაქტიკულ მეცადინეობებზე მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტების განთავსება.

კომპონენტი 5.1

- სასურველია ხარისხის სამსახურმა უზრუნველყოფ პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა, რისი წინაპირობაა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული სიახლეებისა და თანამედროვე გამოწვევების ეტაპობრივად და სისტემურად გაზიარება სემინარების, ვორკშოპების საფუძველზე.

კომპონენტი 5.2

- სასურველია დამსაქმებელთა ჯგუფის გამრავალფეროვნება და მათი პერმანენტული ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების პროცესში;
- პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის სასურველი იქნება, თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაფასებლად წარდგენილი პროგრამების გარე ექსპერტებისთვის შეიმუშავებენ გარკვეულ მეთოდოლოგიას, რათა შეფასების შედეგებმა აჩვენოს პროგრამის განვითარების შემდომი გზები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- **უსდ-ს მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის გაზიარების/არგაზიარების შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს არგუმენტირებული წერილი დასკვნის პროექტთან მიმართებაში. კორესპონდენციაში წარმოდგენილი არგუმენტები ექსპერტთა მიერ მიჩნეულ იქნა არასაკმარისად, შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამისადმი წარდგენილი რეკომენდაციები და რჩევები დატოვა უცვლელად.

- **პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან**

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ***მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა*** (საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე), ავტორთა ხედვით, მიზნად ისახავს ,,მასობრივი კომუნიკაციის არსის, ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ღირებულებების მცოდნე ფართო პროფილის (ბეჭდური, რადიო, ტელე, ონლაინ, ინტერნეტ) სპეციალისტის მომზადებას, რომელიც შეძლებს თანამედროვეობის აქტუალური ფაქტების, მოვლენებისა და პრობლემების ჟურნალისტურ ფაქტად გადაქცევას“. პროგრამა, როგორც ამონარიდიდან ჩანს უმეტესად ორიენტირებულია სწორედ ჟურნალისტური პროფესიის სწავლებაზე. შედეგებიც, რომელზეც გადის პროგრამა, ასახავს სწორედ ჟურნალისტური საქმიანობისთვის საჭირო უნარებს, ასე მაგალითად: აგებს მიზნობრივ ჟურნალისტურ ტექსტებს, როგორც დამოუკიდებლად, ისე წყაროებისგან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპების გათვალისწინების. ქმნის მედიაპროდუქციას ახალი და მულტიმედიური ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით და ა.შ. პროგრამით გათვალისწინებული საგნების/მოდულების მეტი წილი სწორედ ჟურნალისტური საქმიანობის სწავლებისკენაა მიმართული და ნაკლებად მოიცავს გარდა წმინდა ჟურნალისტიკისა, მასობრივი კომუნიკაციის სრულფასოვნად შესწავლისთვის საჭირო საკითხებს. საგულისხმოა , რომ ,,მასობრივი კომუნიკაცია“ მოიცავს ჟურნალისტიკას, თუმცა არ შემოიფარგლება ამით და გულისხმობს როგორც ზოგადად მასობრივი კომუნიკაციის პროცესს, მათ შორის სტრატეგიულ კომუნიკაციას, ისე კომუნიკაციის მრავალფეროვან არხებს, გარდა რადიო-პრესა-ტელევიზია-ონლაინ გამოცემისა. საგნების მცირე რაოდენობა, რომელიც სცდება ჟურნალისტიკას და ეხმიანება მასობრივი კომუნიკაციის სწავლებას, არასაკმარისია მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიკაციის მიღებისთვის, ამასთან ამგვარი საგნების მიზნები ეწინააღმდეგება ზოგადად პროგრამის ძირითად მიზნებს, ასე მაგალითად სასწავლო კურსი ,,PR-ის საფუძვლები“ მიზნად ისახავს: ,,სტუდენტს შეუქმნას აუცილებელი საგანმანათლებლო ბაზისი საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში, განუმარტოს სფეროს შესაძლებლობები, მიზნები ამოცანები და პერსპექტივები. გააცნოს PR-ის განვითარების ისტორია, სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები, გააცნოს სხვადასხვა სფეროში საჭირო, ეფექტური კომუნიკაციის დაგეგმვისა და განხორციელების თავისებურებანი“. ეს მიზნები წინააღმდეგობაშია ჟურნალისტურ მიზნებთან, შექმნას მათ შორის PR სამსახურებისგან დამოუკიდებელი შინაარსი. მიუხედავად პროგრამის სახელწოდების ორი ნაწილისა: მასობრივი კომუნიკაციის ბაკალვრი/ჟურნალისტიკა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის - ,,მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი“ და არა ,,ჟურნალისტიკის ბაკალავრი“, რაც უფრო შესაბამისი იქნებოდა პროგრამის შინაარსთან. მოლოდინის მიუხედავად, პროგრამა ნაკლებად ასახავს თავად ფაკულტეტის სპეციფიკას (ეკონომიკა, მედიატექონოლოგიები), რაც შესაძლოა გაცილებით საინტერესო და განსაკუთრებული ნიშა ყოფილიყო შეთავაზებული პროგრამისთვის. მედიატექნოლოგიების მიმართულებით შეინიშნება კადრების დეფიციტი. საგულისხმოა, რომ, როგორც ჩანს პროგრამა ამ კუთხით 2013 წლის შემდგომი მოდიფიცირების შედეგად დასუსტდა, მაგალითად ,,ანალიზისა და კომენტირების მასკომუნიკაციური ტექნოლოგიები“ გადაკეთდა

„ანალიზურ ჟურნალისტიკად“, ხოლო „მასკომუნიკაციის თანამედროვე დასავლური ტექნოლოგიები“ - „თანამედროვე საზღვარგარეთის მედიად“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია ***მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი*** უნდა შეიცვალოს „ჟურნალისტიკის ბაკალავრი“, შესაბამისად დაზუსტდეს პროგრამის სახელწოდება.
- სილაბუსებით გათვალისწნებული მიზნები გადაიხედოს და დაკორექტირდეს მიზნებს შორის წინააღმდეგობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის გადამუშვება მოხდეს ფაკულტეტის სპეციფიკის შესაბამისად და გაძლიერდეს ისეთი საკითხების სწავლება, როგორიცაა ეკონომიკა და მედიის ტექნოლოგიები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის (მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა) სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსებისა და მოდულების ერთობლიობა ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრულ საბაკალავრო სწავლების აკადემიური განათლების სწავლის შედეგებს.

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ასახავს, რომელი სასწავლო კომპონენტის მიერ მიიღწევა შედეგი. სწავლის შედეგის პირველი დონე მიიღწევა უმეტესად ჟურნალისტიკისა და ნაწილობრივ მასკომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში, რომლებიც I-IV სემესტრებში ისწავლება. სწავლის შედეგის მეორე დონე მიიღწევა საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში, რომლებიცV-VIII სემესტრებში ისწავლება.

სასწავლო კურსები და მოდულები ნაწილობრივ უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების შესაბამისობას ბაზრის მოთხოვნებთან, თუმცა სათანადოდ ვერ ახდენენ პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიმართულებით - მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი - აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

სტუდენტი ამ პროგრამის მიხედვით სრულყოფილად ვერ ახდენს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და უნრების შეძენა/გამომუშავებას მასობრივი კომუნიკაციის სფეროში. ასევე,

თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარის, მაუწყებლობის ყველა პლატფორმაზე (პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში, ინტერნეტში) მუშაობის უნარის გაძლიერება/გავრცობა ხელს შეუწყობს პროფესიულად დასაქმების მაჩვენებლის ზრდას, მოცემულ ეტაპზე, თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად არის 15. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით. სტუ-ს აქვს სწავლების შედეგების რუკა, სადაც წარმოდგენილია საგნობრივი ჩამონათვალის შედარება იმ შედეგებთან, რომლებზეც გათვლილია და ორიენტირებული თითოეული სასწავლო კურსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; • სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლისა და სწავლების შედეგები; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 1); • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; • დამსაქმებლებთან შეხვედრა.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, მაუწყებლობის ყველა პლატფორმაზე (პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში, ინტერნეტში) მუშაობის გაძლიერება/გავრცობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განსაზღვრულია საკუთრივ პროგრამის აღწერილობაში (დანართი 1), რომლის მიხედვითაც პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს „მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. პროგრამაზე სწავლის მსურველი პირი ინფორმაციას პროგრამაზე დაშვების შესახებ ეცნობა ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრისა და სტუ-ის ვებგვერდებზე. თვითშეფასების დოკუმენტში კი გაწერილია, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით და უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად. პროგრამის აღწერილობაში სწავლების ენად მითითებულია - ქართული. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ჩარიცხვით, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვით. თუ სწავლების ენა ქართულია, პროგრამაში გასაწერია უცხოელი სტუდენტებისთვის რა ენაზე წარიმართება სწავლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“ (დანართი 1); • უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სიახლეების ვებგვერდი.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უფრო დეტალურად იყოს გაწერილი პროგრამაში, მობილობის წესების გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და

სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო "პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის" შესაბამისად. პროგრამა შედგენილია ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს (225 კრედიტი) და თავისუფალ კომპონენტებს (15 კრედიტი). თითოეული სემესტრის მოცულობა არის - 30 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი). ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას. დეტალური ინფორმაცია სასწავლო პროცესის ორგანიზების, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის, სტუდენტთა მიღწევების შეფასების, სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების, სტუდენტებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებებისა და სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში", რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ლინკზე: https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.phpპირველი სასწავლო წელს 55 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსია, ხოლო 5 კრედიტი თავისუფალი კომპონენტი. მეორე სასწავლო წელს 12 სავალდებულო სასწავლო კურსია (60 კრედიტი). მესამე სასწავლო წელს 50 კრედიტი პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებია, 10 კრედიტიკი - თავისუფალი კომპონენტი. მეოთხე სასწავლო წლის განმავლობაში შეისწავლის ძირითადი სპეციალობის 6 სასწავლო კურსს (28 კრედიტი), 2 არჩევით სპეციალობის სასწავლოკურსს (10 კრედიტი), გაივლის სასწავლო პრაქტიკას (ჯამში 12 კრედიტი) და იმუშავებს საბაკალავრო ნაშრომზე (10 კრედიტი). პროგრამის სტრუქტურაში სტუდენტს უნდა ეძლეოდეს საშუალება არჩევითი დისციპლინების შეთავაზებით, თავად საკთარი ინტერესებიდან გამომდინარე შეარჩიოს სასწავლო დისციპლინა დარგობრივი კომპეტენციების გასაღრმავებლად, რის საშუალებასაც პროგრამა ნაკლებად იძლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • „საქართველოსტექნიკურუნივერსიტეტშისაგანმანათლებლოპროგრამებისდაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი" სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის №01-05-04/01 დადგენილება; • ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა" (დანართი 1);
რეკომენდაციები: • პროგრამის სტრუქტურაში შეთავაზებული იყოს არჩევითი დარგობრივი დისციპლინები;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული საგნების/მოდულების მეტი წილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჟურნალსტური საქმიანობის სწავლებისკენაა მიმართული და ნაკლებად მოიცავს გარდა წმინდა ჟურნალისტიკისა, მასობრივი კომუნიკაციის სრულფასოვნად შესწავლისთვის საჭირო საკითხებს.

საგულისხმოა, რომ ,,მასობრივი კომუნიკაცია" მოიცავს ჟურნალისტიკას, თუმცა არ შემოიფარგლება ამით და გულისხმობს როგორც ზოგადად მასობრივი კომუნიკაციის პროცესს, მათ შორის სტრატეგიულ კომუნიკაციას, ისე კომუნიკაციის მრავალფეროვან არხებს, გარდა რადიო-პრესა-ტელევიზია-ონლაინ გამოცემისა.

სილაბუსები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სასწავლო კურსის სახელწოდება; კურსის ავტორის ვინაობა; ლექტორის ვინაობა, სტატუსი, აკადემიური ხარისხი და საკონტაქტოინფორმაცია; სასწავლო კურსის სტატუსი; მიზნები; კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილებას სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS); კურსზე დაშვების წინაპირობები; სწავლისშედეგები; სასწავლო კურსის შინაარსი (ძირითადი თემები); სწავლების/სწავლის მეთოდები; შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სტრუქტურა; ძირითადი და და მატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა; დამატებითი ინფორმაცია/პირობები.

საგანმანათებლო პროგრამის სასწავლო კურსების ტუდენტს არ აძლევს სრულფასოვან პრაქტიკულ უნარებს, ამიტომ ვფიქრობთ, საჭიროა, რომ პროგრამულ დისციპლინათა კატალოგს დაემატოს უფრო მეტი პრაქტიკული კურსი, მაგალითად ახალ მედიაში, რომელიც სტუდენტებს მოამზადებს სხვადასხვა ტიპის მედიაპლატფორმისთვის თანაბარი სიძლიერის პროფესიონალური კონტენტი სშესაქმენლად; ასევე, იმისთვის, რომ საკუთარი კონტენტის ინტერნეტით გასავრცელებლად ფლობდნენ ისეთ პროგრამებს, რომლებსაც მოიხმარენ ახალი ამბების თანამედროვე მულტიმედიური რედაქციები. აქ ვგულისხობთ მაგალითად, შემდეგ პროგრამებს: Adobe Photoship, Adobe Illustrator, Adobe Premer; სოციალური ქსელები Facebook.com, Twitter, Instagram და ა.შ. კონტენტის გაზიარებისთვის განკუთვნილი პლატფორმები - YouTube, Vimeo, Flickr, Scribd და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი" სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის №01-05-04/01 დადგენილება;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა" (დანართი 1);
- სასწავლო კურსის სილაბუსები (დანართი 1).

რეკომენდაციები:

პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსებში გაძლიერდეს მასობრივი კომუნიკაციის თემატიკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვას და ორგანიზებას, ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუებისა და სტუ-ის ტელევიზიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტებს აქვთ სივრცეები, სადაც შეუძლიათ პრაქტიკული გამოცდილების მიღება, პანდემიიდან გამომდინარე, ბოლო ორი წლის განმავლობაში აღინიშნება პრაქტიკის კომპონენტის სიმცირე. მართალია ბაკალავრებისთვის მეშვიდე სემესტრში პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკა რადიოში, მერვე სემესტრში კი საწარმოო პრაქტიკა ტელევიზიაში, მაგრამ დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები სრულად ვერ ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, მიზანს და ხანგრძლივობას. რაც შეეხება სტუდენტთა სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას, შეინიშნება ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი. დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ ეს რამდენიმე მედია ორგანიზაცია არ არის პოპულარული მედია ბაზარზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბაკალავრიატის სტუდენტები მათთან შეიძლება მოხვდნენ სტაჟირებაზე, თუმცა ამ მედია ორგანიზაციებს არ აქვთ რესურსი იმისა, რომ დიდი რაოდენობის სტუდენტები მიიღონ, დააოსტატონ პრაქტიკული კუთხით და შემდეგ დაასაქმონ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივიკომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“ (დანართი 1); • პრაქტიკის ხელშეკრულებები/მემორანდუმები (დანართი 9); • ინტერვიუების შედეგები; • თვითშეფასების დოკუმენტი.
რეკომენდაციები: • მიზანმიმართულად შეირჩეს პრაქტიკის ობიექტები მათი აქტუალობის მიხედვით და განისაზღვროს მათ მიერ პრაქტიკაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, პრაქტიკის ხანგრძლივობა და კონკრეტული მიზნები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, პრაქტიკულიკომპონენტის მოცულობის გაზდა; • რეალური და მაღალკვალიფიციური დამსაქმებლების მოძიება და დამსაქმებელთა წრის გაფართოება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, სწავლა-სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია და შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას;

სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები ასახულია სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში): 1. დისკუსია/დებატები; 2. ჯგუფური (collaborative) მუშაობა; 3. როლურიდასიტუაციურითამაშები; 4. პრობლემაზედაფუძნებულისწავლება (PBL); 5. გონებრივიიერიში (Brainstorming); 5. დემონსტრირება; 6. ინდუქცია; 7. დედუქცია; 8. ანალიზი; 9. სინთეზი; 7. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი; 8. წერითი მუშაობა; 9. ქმედებაზეორიენტირებული სწავლება; 10. შემთხვევების შესწავლა (Case Study); 11. თანამშრომლობითი სწავლება; 22 12 პრაქტიკული; 13. ახსნა-განმარტებითი; 14. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია; 15. ელექტრონული სწავლება.

სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესორი თავად განსაზღვრავს რომელი გამოიყენოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივიკომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf;
- ინტერვიუ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) მიერ, მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა - საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას. სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის No3 ბრძანებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი საგანმანათლბლო პროგრამით და სასწავლო კურსის სილაბუსებით. წინამდებარე პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100 - ქულიანი სისტემით. ამასთან, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური

შეფასებისას სტუდენტის ცოდნის შეფასება წარმოებს სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და პრაქტიკული მეცადინეობისთვის განსაზღვრულ პერიოდში. დასკვნითი შეფასება კი ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდში.
შეფასების თითოეულ ფორმაში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს. წარმოდგენილი პროგრამის შესაბამისად, შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კომპონენტში (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადების შემდგომ. ამასთან, სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა არ ემატება. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) – 0 ქულა.
შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა გამოყენებით. ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ გამოქვეყნებულია, წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. სასწავლო კურსის სილაბუსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას, გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტების მიერ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი სათანადოდ არ ინტერესდება მიღებული შეფასებებისა და დაშვებული შეცდომების შესახებ ინფორმაციის მიღება/ანალიზით, სასურველია სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს დაშვებული შეცდომების განხილვა-ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს, გაიაზროს დაშვებული შეცდომები, შეძლოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა და შედეგების გაუმჯობესება; სასურველია დაიხვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).
სასწავლო კურსის სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები სტუდენტებისათვის გასაგებად არის განსაზღვრული. შეფასების კრიტერიუმები, შესაბამისი კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოიცავს ზეპირი და წერითი გამოკითხვის კომპონენტს. შეფასების კომპონენტებისას გამოყენებულია შეფასების ადექვატური მეთოდები და კრიტერიუმები (პრაქტიკული დავალების შესრულება, ტესტი, ღია კითხვა, დისკუსიაში მონაწილეობა, პრეზენტაცია და სხვა).
დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების მექანიზმი და უზრუნველყოფილია შეფასების შედეგების გასაჩივრება. სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან

უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება სასწავლო კურსების შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად.

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დაწესებულება სტუდენტს თავისუფალ კომპონენტად სტავაზობს საბაკალავრო ნაშრომს, საბაკალავრო ნაშრომის შესრულების მიზანია, სტუდენტის მიერ მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამდიდრებაგაფართოება კონკრეტული საკვლევი თემის ფარგლებში;

საბაკალვრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად. დასკვნითი გამოცდა ტარდება საბაკალავრო ნაშრომის დაცვის სახით. საბაკალავრო ნაშრომს აფასებს 3 წევრისაგან შემდგარი კომისია, რომელიც მტკიცდება აკადემიური დეპარტამენტის წარდგენით დეკანის ბრძანებით და რომელშიც შეიძლება შედიოდეს ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი (აგრეთვე მოწვეული), ასისტენტი, ემერიტუსი, სტუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი, ცენტრი) დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მთავარი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ან მეცნიერი თანამშრომელი. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს. კომისიის თავმჯდომარე უნდა იყოს სტუ-ის აკადემიური პერსონალი. ნაშრომის დაცვას უნდა ესწრებოდეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი. რეცენზენტის არყოფნის შემთხვევაში წარმოდგენილ რეცენზიას კითხულობს კომისიის მდივანი. სტუდენტი ახორციელებს საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაციას (10- 15 წუთი), რომელსაც მოჰყვება დისკუსია (კითხვა-პასუხი). სტუდენტი დაცვის დროს უნდა პასუხობდეს დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ნაშრომის, პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის შეფასებას ახდენს კომისიის ყველა წევრი. საბაკალვრო ნაშრომის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები კანონთან შესაბამისია და დეტალურად არის განსაზღვრული საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს დაშვებული შეცდომების განხილვა-ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს, გაიაზროს დაშვებული შეცდომები, შეძლოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა და შედეგების გაუმჯობესება;
- სასურველია, დაწესებულებამ დახვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) მიერ, მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა - საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდასამართლებრივი აქტებით, სტუდენტებისათვის გასაგებად არის აღწერილი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შიდასამართლებრივი აქტების თანახმად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი სასწავლო კურსი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა, ელექტრონული ფოსტა, დაწესებულების ვებ-გვერდი), რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ ინფორმაცია დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის - კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ - არსებული სიახლეების, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციების თუ გაცვლითი პროგრამების შესახებ, სტუდენტების ინფორმირების და აქტივობის მაჩვენებელი დაბალია. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს და დანერგოს სტუდენტთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმი - დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის, კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მიზნით დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც დაწესებულების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ სტუდენტების დროული და ეფექტური ინფორმირება. პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე, კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი სამუშაო ოთახები, უნიკალური საბიბლიოთეკო სივრცე, აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც მათ ხელს შეუწყობს პროფესიისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. დაწესებულებას აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ

საბიბლიოთეკო ბაზებზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგების გაანალიზებით დადგინდა, რომ სტუდენტები სრულყოფილად არ არიან ინფორმირებული სამეცნიერო ბაზების სასწავლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით. სასურველია, დაწესებულების მიერ მოხდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. დაწესებულება მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში, ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას. დაწესებულება უცხადებს მხარდაჭერას თავის სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში მზადაა გამოყოს დაფინანსება მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის სწავლის დასაფინანსებლად.

დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გაიარონ სტაჟირება კერძო/საჯარო სექტორში.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. დაწესებულებას აქვს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის დიდი პრაქტიკა, ჩართულია "ერაზმუს +" პროგრამაში, ყავს არაერთი საზღვარგარეთის პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულება.

თანამშრომლობის ფარგლებში სტუდენტებსა და აკადემიურ, ასევე მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით აქტივობებში. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზე უწყვეტი ინფორმაციის მიწოდებას; კარიერული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- პროგრამის სილაბუსები;
- მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან/ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერება;
- [უნივერსიტეტის ვებ-გვერდი]

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია დაწესებულებამ გააუმჯობესოს და დანერგოს სტუდენტთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმი - დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის, კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მიზნით დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც დაწესებულების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ სტუდენტების დროული და ეფექტური ინფორმირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, დაწესებულების მიერ მოხდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუ-ის მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პირები - აფილირებული აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები, შერჩეული არიან ღია კონკურსის წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნების სრული დაცვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 10 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი, 2 მოწვეული პროფესორი, 2 მოწვეული ასოცირებული პროფესორი, 3 უფროსი მასწავლებელი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 26. საბაკალავრო პროგრამაზე ირიცხება 205 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია 19/205 (აკადემიური:სტუდენტი), 26/205 (მოწვეული:სტუდენტი) სტუდენტების რაოდენობასთან იმ შემთხვავაში, თუ ამ ციფრებში მოაზრებული იქნებოდა დარგის სპეციალისტები მეტწილი ოდენობა. საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის ნაწილი ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება მათი სამეცნიერო ხარისხებით, ბოლო 5 წლის სამეცნიერო ნაშრომებითა და პრაქტიკული გამოცდილებით. საბაკალავრო პროგრამას თან ერთვის ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ. აღნიშნული პერსონალის მიერ წარმოდგენილია უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიები, პუბლიკაციები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, რითაც დგინდება კონკრეტული პედაგოგის იმ სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის კომპეტენცია, რომელშიც იგი მონაწილეობს. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპეტენციის ადმინისტრაციული რესურსით. სულ ჩართულია 4 ადმინისტრაციული პერსონალი, რაც საკმარისია პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტის მომსახურებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის • დამადასტურებელი დოკუმენტები; (დანართი 5); • პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები (დანართი 6); • დეკანატისა და დეპარტამენტის სპეციალისტების სამუშაო აღწერილობები (დანართი 6); • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის CV (დანართი 5); • გასაუბრება.
რეკომენდაციები: • პროგრამის განმახორციელებლები ძირითადად არ არიან დარგის სპეციალისტები, არც განათლებით და არც სამუშაო გამოცდილებით. ისეთი საგნები, როგორებიცაა: შესავალი

მასობრივ კომუნიკაციაში, ახალი ამბების ჟურნალისტიკა, ტელევიზია და მასმედიის სისტემები და ა.შ. სასურველია ისწავლებოდეს დარგის სპეციალისტებისა და პრაქტიკულ ჟურნალისტიკაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის მიერ. • სწავლების პროცესში მოქმედი ჟურნალისტებისა და მედიამენეჯერების ჩართვა, ხელს შეუწყობს მომავალი ჟურნალისტებისთვის თანამედროვე მედიაბაზრის მოთხოვნების შესაბამისი აუცილებელი პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების გადაცემას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმიურად აანალიზებს პროგრამაში ჩართული მოწვეული და აკადემიური პერსონალის შრომის ხარისხს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, გეგმიურად ხვდებიან პროგრამაში ჩართულ მოწვეულ პერსონალს, უნმარტავენ მათ საუნივერსიტეტო რეგულაციებს, უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსების გამოყენების წესებსა და შესაძლებლობებს. უნივერსიტეტში ხორციელდება პროგრამის ფუნქციონირებაში ჩართული პერსონალის შეფასება და კმაყოფილების კვლევა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აანალიზებს და აქტიურად იყენებს შეფასებისა და კვლევის შედეგებს, რათა ხელი შეუწყოს ფაკულტეტის თითოეულ აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებასა და პროფესიულ განვითარებაში. პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკის მიზნებია: აკადემიური პერსონალის კომპეტენციების დადგენა; აკადემიური პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება; აკადემიური პერსონალისთვის დახმარების გაწევა; აკადემიური პერსონალის მუდმივი პროფესიული ზრდის უზრუნველყოფა; აკადემიური პერსონალის ტრეინინგის საჭიროებების განსაზღვრა. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი გადის ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით. სტუ-ში ფუნქციონირებს რექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია“, რომლებსაც სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად ევალება აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება.

სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ მიღწეული შედეგების შეფასება წარმოებს შემდეგი კრიტერიუმებით:

- აქტივობები აკადემიურ საქმიანობაში;
- აქტივობები მეცნიერების მიმართულებით;
- სტუ–სთვის მნიშვნელოვანი სხვა საქმიანობები.

პერსონალი საკუთარი მიღწევების შესახებ ინფორმაციას განათავსებს მეცნიერული მიღწევების პერსონალურ გვერდზე, რომელიც განთავსებულია სტუ-ის ვებგვერდზე http://my.gtu.ge/ .

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან უმრავლესობას აქვს სხვადასხვა ტრენინგების სერთიფიკატები და საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობის მაღალი მაჩვენებელი.

თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა ასეთია: ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 154; საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 105; ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 53; საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 67; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - 6 მონოგრაფია, 44 სახელმძღვანელო, 2 ლექსიკონი. მოწოდებული დოკუმენტაციის (აფილირებული და მოწვეული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები,) თანახმად, სტატიების უმრავლესობა დაბეჭდილია ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე გამოცემულ, ან სხვა ადგილობრივ ჟურნალებში, როგორებიცაა მაგალითად: „ხელისუფლება და საზოგადოება“, „ინტელექტი“, „პარალელი“, „განათლება“ და ა.შ. არც ერთი მაღალ რეიტინგული, იმპაქტ ფაქტორიანი ჟურნალი არ არის მითითებული.

თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის პრიორიტეტს წარმოადგენს წახალისების სისტემის ინტეგრირება პერსონალის მართვის პოლიტიკაში. წახალისების ღონისძიებები ხორციელდება როგორც ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე, ასევე საყოველთაო წახალისების გზით, პრემირებისა თუ სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის გზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (დანართი 5);
- მეცნიერული მიღწევების პერსონალური გვერდი, რომელიც განთავსებულია სტუ-ის ვებგვერდზე http://my.gtu.ge/;
- გასაუბრება.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უცხოელი სპეციალისტების მოწვევა, არა მარტო მოკლევადიანი პროექტების გახორციელებისთვის - მასტერ-კლასებისა და ტრენინგების ჩატარების მიზნით, არამედ გრძელვადიანი თანამშრომლობისთვისაც, რაც აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებს საერთაშორისო მედიასივრცესთან ინტეგრირებაში დაეხმარება და ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას და საერთაშორისო სივრცესთან მის ადაპტირებას;
- სასურველია ადმინისტრაციამ ხელი შეუწყოს აკადემიურ პერსონალს ნაშრომები იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში გამოაქვეყნონ;
- სასურველია პროგრამის განმახორციელებლებმა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში. ასევე, უფრო აქტიურად ითანამშრომლონ საერთაშორისო მედია ორგანიზაციებთან ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკულად გაზიარების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

•

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა, აუდიტორიების რაოდენობა უზრუნველყოფს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მაქსიმალურად ორიენტირებულია სტუდენტების ინტერესებზე. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს.

პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია შესაბამისი ფინანსური და მატერიალური რესურსები, სასწავლო პროცესის გამართული მუშაობისათვის შესაბამისი ტექნიკური რესურსი, რათა სტუდენტებს მიეწოდოს პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაცია და უზრუნველყოფილი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი წიგნსაცავია. ბიბლიოთეკის უნივერსალური ფონდი სასწავლო, სამეცნიერო და მხატვრული გამოცემებისგან შედგება. მათ შორისაა ისეთი უნიკალური (რარიტეტული) გამოცემები, რომელთა უმრავლესობა მხოლოდ აქ არის დაცული და უიშვიათეს ეგზემპლარებს წარმოადგენს, კერძოდ, დაცულია მე-18, მე-19 და მე-20 საუკუნეების ტექნიკური, საინჟინრო და ჰუმანიტარული სპეციალობის ქართული, ევროპული და ამერიკული გამოცემები. რამდენიმე მილიონ საბიბლიოთეკო ერთეულს შორის არის როგორც წიგნები, ისე პერიოდული გამოცემები. ბიბლიოთეკის მნიშვნელოვანი ნაწილია წიგნებისა და ჟურნალების ელექტრონული ბაზა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დანერგილია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA" (http://opac.gtu.ge/), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ბიბლიოთეკაში არსებული როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ლიტერატურის მოძიება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს აქვთ წვდომა Elsevier-ის მიერ შემოთავაზებულ ელექტრონულ პროდუქტებზე - სამეცნიერო ბაზებზე: ScienceDirect და Scopus, Cambridge University Press, Royal Society Publishing – journals, Bioone, IMF eLibrary, SAGE Journals, Edward Elgar Publishing, Duke University Press, Massachusetts Medical Society, Polpred.com Mass Media Review.

სტუ-ის აქვს შემდეგი ელექტრონული რესურსების გამოყენების უფლება: Cambridge Jurmals Online, BioOne Complete, e-Duke Jurnals Scolarly Collection, Edward Elgar Publishing Jurnals and Developmens Studies e-books, IMechE Jurnals, New England Jurnals of Madicine, Royal Society Jurnals Collection, SAGE Premier. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში აბონენტს ემსახურება ოთხი დარბაზი: ა) პერიოდული გამოცემების დარბაზი; ბ) კომპიუტერული დარბაზი; გ) ტექნიკურ მეცნიერებათა დარბაზი; დ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარბაზი.

საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუ-ს ბიბლიოთეკაში, ელექტრონულ ბიბლიოთეკაში. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თანამედროვე, მოქნილი სისტემით იმართება, რაც ძალიან კომფორტულს ხდის მუშაობის პროცესს. რესურსები კატალოგიზებულია და მარტივად შესაძლებელია მათი მოძებნა. უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი

თანამედროვე ტიპის აუდიტორიებით. სტუდენტებს ბიბლიოთეკის თანამშრომლები უწყვეტ რეჟიმში, დისტანციურად აწვდიან მოთხოვნილ ლიტერატურას. გარდა ამისა უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი ხელმისაწვდომია, მათ შორის უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან, სტუდენტებისთვის, კურსდამტავრებულებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. თანამედროვე სტანდარტებით, კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზით, საბიბლიოთეკო ფონდებთან მკითხველის თავისუფალი დაშვებით, იზოლირებული შეხვედრების ოთახებით, საკონფერენციო ოთახით და ბიბლიოთეკარების სამუშაო სივრცით წინამდებარე სასწავლო და მატერიალური რესურსი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ მუშაობას. უნივერსიტეტს აქვს ტელევიზია, რომლისთვისაც გამოყოფილია სპეციალური სივრცე და შესაბამისი ტექნიკით არის აღჭურვილი. აკრედიტაციის ჯგუფმა დაათვალიერა სატელევიზიო პროექტებისთვის განკუთვნილი სტუდია, სამონტაჟო, „ნიუსრუმი“. ტელევიზია უზრუნველყოფილია საკმარისი რაოდენობის აუდიო და ვიდეო ტექნიკით, პროფესიული და ნახევრად პროფესიული კამერებით, მიკროფონებით და შტატივებით. სამონტაჟო კომპიუტერებითა და ვიდეო (აუდიო) ჩაწერებისათვის შესაფერისი ინტერიერით. ბოლო რამდენიმე წელიწადია, ტელევიზია არ ფუნქციონირებს და არ ხდება ამ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყენება. მას შემდეგ, რაც მოხდება ტელევიზიაში არსებული ტექნიკის სრულად ამოქმედება, სივრცის დასუფთავება, მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის სტუდენტები შეძლებენ ჟურნალისტისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და ჟურნალისტური პროდუქტების შექმნას. ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცე იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა რეგულაციის დაცვით მოხდეს სტუდენტებისთვის პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება. პროგრამის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები და სამედიცინო ცენტრი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ✓ თვითშეფასების ანგარიში; ✓ საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ პროგრამის ბიუჯეტი; ✓ ინფრასტრუქტურის და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერება; ✓ ინტერვიუს შედეგები; ✓ სტუ–ს ცენტრალური სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკა: http://gtu.ge/Library/ ; ✓ სტუ- ს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი http://gtu.ge/bef/Resources/Library.php; ➢ ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (დანართი 11); ➢ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია მოხდეს უნივერსიტეტის ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცის მოწესრიგება და მომზადება იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ კომფორტულ გარემოში გაიარონ პრაქტიკული მეცადინეობები და იმუშაონ. • სასურველია, ტელევიზიამ ფუნქციონირება განაახლოს ჰიბრიდულ რეჟიმში, რეგულაციების დაცვით. • სასურველია განახლდეს ფაკულტეტის ელექტრონული საიტი, სადაც მოხდება სტუდენტების მიერ პრაქტიკულ მეცადინეობებზე მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტების განთავსება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ფინანსდება ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად. ფინანსები პროგრამებისათვის განსაზღვრულია ფაკულტეტის ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

მიმდინარე წლის პროგრამის შემოსავალი შეადგენს 3814250 ლარს, ხოლო მთლიანი დანახარჯია 3384720 ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 2018200 ლარი, მ.შ.შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო -1,275,000 ლარი, სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი -10000, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯები - 10000... ბიუჯეტში არ არის მითითებული სამეცნიერო ხარჯები.

ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ და იანგარიშება პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების მიხედვით. პროგრამის ხარჯებში გათვალისწინებულია: აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის სახელფასო სარგო და საშტატო განაკვეთის დატვირთვის მოცულობა, წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯი, რაც საერთო ჯამში შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამის ბიუჯეტი (დანართი 11);
- ✓ თვითშეფასების დოკუმენტი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით	✓			

უზრუნველყოფა				

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ინსტიტუციური განვითარების ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი საფაკულტეტო კოორდინატორებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების, კვლევის, სერვისებისა და მართვის მიმართულებით პროცესების დაკვირვებას, მონაცემთა ანალიზს, განმავითარებელი ფაზების განსაზღვრასა და შემდგომი აქტივობების დაგეგმვას. უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უზურნველყოფს, შესაბამისად, უნივერსიტეტის მისიის საფუძველზე დამყარებული საუნივერსიტეტო სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შესრულებას.

უნივერსიტეტის სივრცეში მოქმედი ხარისხის უზუნველყოფის სისტემა უზრუნველყოფს:

- უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას;
- უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას, მონიტორინგს და შედეგების ანალიზს საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით.

ხარისხის საუნივერსიტეტო სისტემის მოქმედება ეფუძნება ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა (Planning), განხორციელება (Doing), შეფასება (Checking), განვითარება (Acting) (PDCA).

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარ საქმიანობას წარმართავს შემუშავებული სამწლიანი სამოქმედო გეგმით, რომლის განხორციელებაში აქტიურადაა ჩართული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები, რაც ნიშნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობას პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების კონკრეტულ ფაზებში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია გაფართოვდეს პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა, რისი წინაპირობაა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული სიახლეებისა და თანამედროვე გამოწვევების ეტაპობრივად და სისტემურად გაზიარება სემინარების, ვორკშოპების საფუძველზე.

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უწინარესად ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რასაც უნდა ჰქონდეს პერმანენტული/უწყვეტი ხასიათი გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო სივრცეში კონკრეტული პროცესები ძალიან სწრაფად იცვლება და ვითარდება. ცვლილებათა მიდევნება შესაძლებელია როგორც პროგრამის განმახორციელებელი პირებთან აქტიური თანამშრომლობით, ერთ მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, კი აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მუდმივი გადამზადებით. წინამდებარე პროცესების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს ინტერნაციონალიზაციის პროცესებმა (სხვადასხვა ტიპის ინსტიტუტთაშორისი გაცვლითი თანამშრომლობით, სემინარებითა და ვორკშოფებით, რომლებიც დაიგეგმება არამხოლოდ დარგისა და განათლების ქართველი, არამედ უცხოელი ექსპერტების ჩართულობით).

წინამდებარე პროცესები და პროცედურები გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მარეგულირებელ დოკუმენტში, როგორიცაა ***საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი*** (სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის N01-05-04/261დადგენილება), სადაც დეტალურად და კონკრეტულად, საფეხურებრივად არის აღწერილი ყველა ის სეგმენტი თუ ნიუანსი, რომელიც ფორმალურად და შინაარსობრივად აწესრიგებს საგანმანათლებლო პროგრამის

მომზადებისა თუ განვითარების ყველა ეტაპს. თუმცა ხარისხის უზრუნველყოფას ევალება წინამდებარე და სხვა მსგავსი დოკუმენტების ცალკეული ნიუანსის განმარტება ინსტიტუციის ყველა რგოლში, რომელიც კი ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში.

უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება რეგულარულად ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რაც ეფუძნება უნივერსიტეტის საქმიანობის ანალიზსა და შეფასებას. მოცემული პროცესების მხარდაჭერის მიზნით ინსტიტუცია მიმართავს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი მუშაობის, აგრეთვე, პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატიურ შეფასებას, მონიტორინგისა და პერიოდული შემოწმებების შედეგების ანალიზს, რის შედეგადაც შემუშავებული რეკომენდაციები მიეწოდება შესაბამის საუნივერსიტეტოს სამსახურებს შემდგომი რეაგირების მიზნით. კვლევების დიდი წილი მოდის სწავლისა და სწავლების ხარისხის შეფასებაზე, რომელიც ეფუძნება რეგულარულად განხორციელებულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, რომლის შედეგებს იყენებს საფაკულტეტო ხარისხის უზრუნვლეყოფის სამსახური სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნვლეყოფის ჩართულობით პროგრამის განმახორციელებელი პირები იწყებენ პროგრამის განვითარების ცალკეული ეტაპების დაგეგმვას.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ანხორციელებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებელთა მოსაზრებების შესწავლა, ანალიზსა და შეფასებას, რომელიც ასევე გამოიყენება პროგრამის განვითარებისათვის. გარდა ამისა ხარისხის სამსახური პერიოდულად აორგანიზებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას შემდეგი კრიტერიუმების თანახმად:

- პროგრამის ხელმძღვნელის/ხელმძღვანელების გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტების დასწრების-აქტივობის მონიტორინგის შედეგები;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;
- პროგრამიდან განთესვისა და პროგრამის დასრულების მაჩვენებელი;
- პროგრამისკურსდამთავრებულებისდასაქმებისმაჩვენებელიდამათიგამოკითხვისშედეგები;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები;
- გარეშემფასებლების მიერ ჩატარებული შეფასების შედეგები (არსებობის შემთხვევაში);
- სხვა დაინტერესებული მხარეების (მაგ., პროფესიული ასოციაცია) მიერ გაკეთებული შეფასების შედეგები (არსებობის შემთხვევაში).

ამასთან ხარისხის სახელმძღვანელო დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი პროგრამის როგორც შედგენის, ისე მოდიფიცირების ეტაპები. სახელმძღვანელო დოკუმენტები არის დეტალურად მომზადებული და ეფუძვნება საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდება, ასევე საერთაშორისო მარეგულირებ დოკუმენტებს. ასევე უნდა აღნიშნოს, რომ წარმოდგენილია კვლევები და შესაბამისი ანალიზებიც.

პროგრამის განმახორციელებლების მიერ მომზადდა ანალოგიური პროგრამების შედარების დოკუმენტი, რომელშიც განხილულია შემდეგი უნივერსიტეტების კურიკულუმები: *მადრიდის კარლოს მესამის სახელობის უნივერსიტეტი (დაარს. 1989), პრაღის ანგლო-ამერიკული უნივერსიტეტი (დაარს. 1990), რიგის (ლატვია) ტურიბას უნივერსიტეტი (დაარს. 1993).* წარმოდგენილი შედარების შედეგად მიღებული შედეგები ასახულია გარკვეულწილად პროგრამაში, როგორც საუკეთესო პრაქტიკა, თუმცა პროგრამის განმახორციელებლები არ იზიარებენ უცხოური უნივერსიტეტების კურიკულუმების მნიშვნელოვან დეტალს სასწავლო კურსების არჩევითობის თაობაზე, რითაც სტუდენტს არ რჩება არჩევითობის ის სპექტრი, რაც ქართული კანონმდებლობითაც მნიშვნელოვანია და მით უფრო უცხოური კურიკულუმებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის № 01-05-04/108 დადგენილებიით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი http://gtu.ge/quality/;

- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ხარისხის სამსახურმა უზრუნველყოფ პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა, რისი წინაპირობაა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული სიახლეებისა და თანამედროვე გამოწვევების ეტაპობრივად და სისტემურად გაზიარება სემინარების, ვორკშოპების საფუძველზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამისათვის აქტუალური და მნიშვნელოვანია ხარისხის გარე შეფასება, რაც რამდენიმე ფაზაში გამოიხატება. ცალსახად ობლიგატორულია შეფასება, რომელიც ხორციელდება სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზაციის ან აკრედტიაციის პროცესში. წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მინიჭებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბერის №541 გადაწყვეტილებით, რომლის შემდგომ პროგრამა დაექვემდებარა მოდიფიცირებას, რაც ემყარებოდა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ აკრედიტაციის პროცესში შემუშავებულ რეკომენდაციებსა და რჩევებს. აკრედიტაციის შემდგომი მონაცემების ანალიზი და მისი ეტაპობრივი განხორციელება პროგრამის მოდიფიცირებაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა მიიჩნია პროგრამის განვითარებისათვის მნიშვნელოვნად, შესაბამისად, მათი მხრიდან გათვალისწინებულია ფაქტობრივად ყველა რჩევა და რეკომენდაცია.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 65/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 99/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. გარვეულწილად პროგრამების განახლება და მათ შორის მოცემული პროგრამის, განხორციელდა ავტორიზაციის შემდგომ პერიოდში. ამას გარდა, უნივერსიტეტი რიგ შემთხვევებში მიმართავს გარე შეფასებას, რაც მოცემული პროგრამისთვისაც განხორციელდა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა პირველ რიგში დამსაქმებლების, ხოლო შემდგომ პარტნიორი უნივერსიტეტების დარგობრივი მიმართულებების მიერ. როგორც წარმოდგენილმა დოკუმენტებმა აჩვენა დამსაქმებლების ჯგუფი მოცემულ პროგრამასაც ჰყავს, მაგრამ სასურველია მათი გამრავალფეროვნება და პერმანენტული ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების პროცესში.

ექსერტთა ჯგუფს მიეწოდა გარეშეფასების ცალკეული დოკუმენტები, რომელიც შესრულებული

იყო 2 ქართული (ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი (ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფ. იოსებ სანიკიძე) და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა ამირანაშვილი) და 2 უცხოური საგანმანათლებლო-კვლევითი ინსტიტუციების (მაგდებურგის (გერმანია) ოტო ფონ გუერიკეს უნივერსიტეტისა და პრაღის (ჩეხეთი) გამოყენებითი ფსიქოლინგვისტიკის საერთაშორისო საზოგადოების) მიერ. ოთხივე გამოხმაურება არის ზოგადი ხასიათის პროგრამის დახასიათება და ნაკლებად ანალიზზე ორიენტირებული. შესაბამისად, პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის სასურველი იქნება, თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაფასებლად წარდგენილი პროგრამების გარე ექსპერტებისთვის შეიმუშავებენ გარკვეულ მეთოდოლოგიას, რათა შეფასების შედეგებმა აჩვენოს პროგრამის განვითარების შემდომი გზები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი http://gtu.ge/quality/;
- გამოხმაურებები;
- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დამსაქმებელთა ჯგუფის გამრავალფეროვნება და მათი პერმანენტული ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების პროცესში;
- პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის სასურველი იქნება, თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაფასებლად წარდგენილი პროგრამების გარე ექსპერტებისთვის შეიმუშავებენ გარკვეულ მეთოდოლოგიას, რათა შეფასების შედეგებმა აჩვენოს პროგრამის განვითარების შემდომი გზები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა არ არის სტატიკური მონოლითი, რომელიც დღიდან დამკვიდრებისა არ და ვერ იცვლება. მისი მოდიფიკაცია, განახლება და გათანამედროვება განპირობებულია განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებითა და გამოწვევებით. ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული სიახლეები სამუშაო პროცესში გარკვეულწილად დაკვირვებისა და შეფასების ობიექტი უნდა გახდეს, რაც პერიოდულად კონკრეტული მეთოდოლოგიით უნდა წარიმართოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსაურის მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესი კომპლექსურ ხედვას მოითხოვს, მნიშვნელოვანია უსდ-ს შემუშავებული ჰქონდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული

მეთოდოლოგია, პროცედურები და გაწერილი პროცესები, რადგან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თავისი უნიკალური, ტრადიციული დარგებითა და ყველა უმაღლეს სასწავლებლისაგან განსხვავებული სპეციფიკით, რაც მას გამოარჩევს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ტექნიკის დარგში ექსპერტებით მომარაგებაში, რათა თავდაპირველად შეინარჩუნოს და შემდგომ გაამლიეროს საკუთარი პოზიცია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ამ პროცესებში მაქსიმალურად უნდა იყოს უსდ-ს პრაქტიკულად ყველა რგოლი ჩართული. უმაღლეს სასწავლებელში პერიოდული შეფასება რა თქმა უნდა ხორციელდება, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პროგრამის განხორციელებით დაინტერესებული ყველა პირი. პროგრამა იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებასაც და სხვა არაერთ აქტივობას. თუმც შეფასების პროცესი ისედაც შიდა ხარისხის შეფასების რუტინაა. რაც შეეხება მონიტორინგის პროცესებს, ის უნდა განისაზღვროს პროგრამისადმი კონკრეტული პირობების, მიზნებისა და ამოცანების წაყენების შემდგომ ზუსტად განსაზღვრული მეთოდოლოგიით, რაც საშუალებას მისცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანალიზის საფუძველზე დაადგინოს როგორც პროგრამის წარმატებული, ისე ჩრდილოვანი დეტლები და კონკრეტული სტრატეგიის შემუშავების შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაჯანსაღების, ახალი განვითარების პროცესებისა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარები; • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; • ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: • მნიშვნელოვანია უსდ-ს შემუშავებული ჰქონდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია, პროცედურები და გაწერილი პროცესები, რადგან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თავისი უნიკალური, ტრადიციული დარგებითა და ყველა უმაღლეს სასწავლებლისაგან განსხვავებული სპეციფიკით, რაც მას გამოარჩევს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ტექნიკის დარგში ექსპერტებით მომარაგებაში, რათა თავდაპირველად შეინარჩუნოს და შემდგომ გაამლიეროს საკუთარი პოზიცია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა *მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა*
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ნინო ქიმერიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
ნათია კუპრაშვილი

ნათია სვანიძე

თათია უბერი